განკარგულება:**გ-49. 49241805**
თარიღი:**28/06/2024**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 ივნისის N48-482417690 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

**1.** მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

**2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

**3.** განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

**4.** განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**2024 წელს რგ(პ)ფ-ის მიერ დასაფინანსებელი პროექტები**

| | | | |
|---|---|---|---|
| წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციციპალიტეტის სოფლებში მუხიანში , აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფრით მოწყობა. | გზა | 1 244 018,00 |
| წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ საყულია წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეების, კაშიას უბნებში ,გზების ბეტონის საფარით მოწყობა. | გზა | 500 877,00 |
| წყალტუბო | სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის , სოფელ ჯიმასტარო მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი,ტურაბელიძეებს უბანი,ყოფილი სკოლის უკან,ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები,დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა | გზა | 1 309 087,00 |
| წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე<br>თვალოძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი<br>გზის ბეტონის საფარით მოწყობა | გზა | 958 578,00 |
| წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკომიგრანტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში და სოფელ ბანოჯაში 39 -ე ქუჩის, გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | გზა | 1 613 682,00 |
| | **ჯამი** | | **5 626 242,00** |